

არქეოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს

სხდომის ოქმი N7

თბილისი, 29 ივნისი 2021

არქეოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომას ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებითესწრებოდნენ:

საბჭოს წევრები:

1. **მერაბი ჭუმბურიძე** - ისტორიის დოქტორი, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია-არქეოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარე;**
2. **ემზარ კახიძე** - ისტორიის დოქტორი, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი; ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის მმართველი - **საბჭოს წევრი;**
3. **ჯონი აფაქიძე** - ისტორიის დოქტორი, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი - **საბჭოს წევრი**
4. **ნოდარ ბახტაძე** - ისტორიის დოქტორი, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების პროფესორი არქეოლოგიის მიმართულებით - **საბჭოს წევრი;**

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი:

- **ქეთევან ფანჩულიძე** - კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის უფროსი;
- **ნინო გოგლიჩიძე** - კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის სპეციალისტი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 18:00 სთ-ზე. კვალიფიკაციების სამმართველოს სპეციალისტი ნინო გოგლიჩიძე მიესალმა საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ სხდომას საბჭოს 7 წევრიდან ესწრებოდა საბჭოს 4 წევრი. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 11 ივნისის N476/ი 3 ბრძანების, უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების, განახლებისა და დამტკიცების, დარგობრივი საბჭოების, დარგობრივი სამუშაო ჯგუფების შექმნისა და საქმიანობის წესის მე-9 მუხლის 3 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მასში ესწრება/ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მონაწილეობას იღებს საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ, მერაბ ჭუმბურიძემ გახსნა სხდომა და წევრებს წარუდგინა დღის წესრიგი, კერძოდ არქეოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შესახებ საბოლოო რეკომენდაციების განხილვა და დოკუმენტის დამტკიცებისთვის კენჭისყრა.

მოისმინეს:

1. საბჭოს თავმჯდომარემ, მერაბ ჭუმბურიძემ მიმართა საბჭოს წევრებს თუ ჰქონდათ დოკუმენტთან დაკავშირებით რაიმე სახის შენიშვნა ან რეკომენდაცია, რათა დოკუმენტის დამტკიცებამდე საბჭოს ამსჯელა აღნიშნულთან დაკავშირებით.
2. ცენტრის წარმომადგენლებმა ქეთევან ფანჩულიძემ და ნინო გოგლიჩიძემ მიმართეს საბჭოს წევრებს და სთხოვეს დაესახელებინათ ოპტიმალური ვადა არქეოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. მერაბ ჭუმბურიძისა და ნოდარ ბახტაძის აზრით, მათ პროგრამებს ისედაც გახანგრძლივებული ჰქონდათ აკრედიტაციის ვადა და 2022 ში უწევთ პროგრამების რეაკრედიტაცია, ჯონი აფაქიძისა და ემზარ კახიძის თქმით იმ პროგრამებს რომელთა განხორციელებაშიც არიან ჩართული შედარებით ახალი მიღებული აქვთ აკრედიტაცია და 6-9 თვიანი ვადის დაწესება პროგრამების დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაში მოყვანისთვის არ იქნება მართებული.
3. საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა არქეოლოგიის დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცების საკითხი.

დაადგინეს:

1. საბჭოს გადაწყვეტილებით დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტი არ საჭიროებს ცვლილებებს.
2. საბჭომ გაიზიარა მათი შემოთავაზება და მათი რეკომენდაციით პროგრამები დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაში უნდა მოვიდნენ მათთვის განსაზღვრულ სააკრედიტაციო ვადებში.
3. საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრების ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით დამტკიცდა არქეოლოგიის დარგობრივი მახასიათებელი დათქმით – ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დარგობრივი მახასიათებლის პროექტი ჩამოყალიბდა დანართი-1 ის შესაბამისად.


სხდომა დასრულდა 18:30-ზე.

საბჭოს თავმჯდომარე

მერაბი ჭუმბურიძე



საბჭოს მდივნის მოვალეობის შემსრულებელი



არქეოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი უმაღლესი განათლების I და II საფეხურები

2021

I. შესავალი

არქეოლოგია იკვლევს წარსულში ადამიანთა ცხოვრების, ბუნებრივი გარემოსა და შრომითი საქმიანობის მატერიალურ ნაშთებს, რაც წარმოადგენს ღირებულ წყაროს მსოფლიო ცივილიზაციის კვლევისათვის. არქეოლოგია შესაძლებელს ხდის წარსულის და თანამედროვეობის ორგანული ერთიანობის შემეცნებას; გვიხსნის ისტორიული პროცესების კანონებს და მსოფლიო ისტორიის ფუნდამენტურ პრობლემებს; გვიქმნის წარმოდგენას ცივილიზაციის საწყისებზე და კულტურის ერთიანობაზე.

არქეოლოგიას აქვს უნიკალური სოციალური და კულტურული ფუნქცია – ისტორიული დროის მატერიალიზაცია. შესაბამისად, თანამედროვე საზოგადოება განიცდის არქეოლოგიური კვლევებისადმი მზარდ მოთხოვნას, რამაც არქეოლოგიის სწავლება და დასაქმება ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. ეს თავის მხრივ განაპირობებს მოთხოვნას, შეიქმნას თანამედროვე საერთაშორისო გამოცდილების შესაბამისი ეროვნული სტანდარტი, რომელიც უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი საბაკალავრო და სამაგისტრო

საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას და არქეოლოგიური ცოდნით, უნარებითა და კომპეტენციებით აღჭურვილი სპეციალისტების მომზადებას.

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებელი წარმოადგენს აკადემიური განათლების სტანდარტს, რომელიც არქეოლოგიის სფეროს უმაღლესი განათლების I და II საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებისათვის განსაზღვრავს კვალიფიკაციის მისანიჭებლად აუცილებელი სწავლის შედეგების მინიმალურ მოთხოვნებს, მათ მისაღწევად საჭირო სწავლება-სწავლისა და შეფასების მიდგომებს და სხვა არსებით მახასიათებლებს.

დარგობრივი მახასიათებლის მოქმედების ვადა განისაზღვრება 7 წლით.

არქეოლოგიის დარგობრივი მახასიათებლის მიზანია ხელი შეუწყოს: არქეოლოგიის საბაკალავრო (I საფეხური) და სამაგისტრო (II საფეხური) საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას; სტუდენტთა მობილობას; მინიჭებული კვალიფიკაციის საერთაშორისო დონეზე აღიარებას; არქეოლოგიის პროფესიაში შესვლასა და დასაქმებას.

არქეოლოგიის დარგობრივი მახასიათებელი განსაზღვრავს იმ ცოდნის, უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის მინიმალურ სავალდებულო სტანდარტს, რომლებსაც სტუდენტი არქეოლოგიის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისას შეიძენს.

წინამდებარე დარგობრივ მახასიათებელს უნდა იცნობდეს პირი, თუ იგი მონაწილეობს არქეოლოგიის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ან საგანმანათლებლო პროგრამების კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შემუშავებაში, განხორციელებაში და განხილვაში.

ამ დარგობრივი მახასიათებლის გაცნობა რეკომენდირებულია:

- აბიტურიენტისათვის, რომელსაც სურს დაეუფლოს არქეოლოგიის პროფესიას;
- სტუდენტისთვის, რომელსაც აინტერესებს რა ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს შეიძენს არქეოლოგიის საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ;
- დამსაქმებლისათვის, რომელსაც სურს არქეოლოგიის საბაკალავრო ან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულის ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების შესახებ ინფორმაციის მიღება.

წინამდებარე არქეოლოგიის დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული დებულებები, გარდა სარეკომენდაციო ხასიათისა, სავალდებულოა შესასრულებლად ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის, სადაც ხორციელდება არქეოლოგიის საბაკალავრო ან/და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა. ამასთან, არქეოლოგიის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დეტალური შინაარსი, მისი განხორციელების გზები, ასევე სწავლება-სწავლისა და შეფასების მეთოდები განისაზღვრება თითოეული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ავტონომიურად საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დარგობრივ მახასიათებელთან არქეოლოგიის საბაკალავრო ან/და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის მონიტორინგი შესაძლებელია განხორციელდეს პერიოდულად, მოქმედი აკრედიტაციის სტანდარტებისა და შესაბამისი პროცედურების საფუძველზე.

არქეოლოგიის დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების საფუძველს წარმოადგენს:

- უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონი;

- ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მოთხოვნები;
- სხვა მარეგულირებელი დოკუმენტები.

არქეოლოგიის დარგობრივი მახასიათებლის განახლების საფუძველია აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისობაში მოყვანა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიერ განსაზღვრულ და დასაქმების ბაზარზე არსებულ მოთხოვნებთან.

II. სწავლის სფეროს აღწერა

არქეოლოგიის I და II საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში უნდა შეესაბამებოდეს არქეოლოგიის სწავლების საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს; უნდა ეფუძნებოდეს განათლებისა და სწავლების ლიბერალურ პრინციპებს; ასევე ორიენტირებული უნდა იყოს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრებაზე; საზოგადოების ინტელექტუალური, ზნეობრივი, კულტურული განვითარების ხელშეწყობაზე; ტრადიციისა და ინოვაციის ლოგიკურ შერწყმაზე; სტუდენტის პიროვნულ და პროფესიულ განვითარებაზე; დასაქმების ბაზრისათვის კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს სწავლის პროცესში არქეოლოგიურ მეცნიერებაში საყოველთაოდ აღიარებული საბაზო ცოდნისა და უნარების პროფესიონალურად გამოყენება.

ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურზე არქეოლოგიის სწავლება ხორციელდება სათანადო კვალიფიკაციის მეცნიერ-პედაგოგების ხელმძღვანელობით და დოქტორანტ-მკვლევარების აქტიური ჩართულობით. ორივე საფეხურის პროგრამათა მთავარი ამოცანაა სტუდენტები აზიარონ არქეოლოგიის სფეროში არსებულ უმთავრეს თეორიებსა და მეთოდებს, რაც მიიღწევა სტუდენტების უშუალო მონაწილეობით პირველადი არქეოლოგიური მასალის გამოვლენის და ანალიზის პროცესში, მათი დარგობრივ ან მომიჯნავე სფეროთა კვლევითი პროექტებში ჩართულობის გზით. სამეცნიერო პროექტებში ჩართულობა სტუდენტებში აყალიბებს პირველად არქეოლოგიურ მასალებზე მუშაობისა და კვლევის კულტურას. შესაბამისად, ამ მიმართულებების პროგრამებში სასწავლო, პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტები, ოპტიმალურადაა კომბინირებული.

არქეოლოგიის მიმართულების საბაკალავრო საფეხურის პროგრამები სტუდენტებს უვითარებს საბაზო კვლევით უნარებს, ხოლო სამაგისტრო საფეხურის პროგრამები შეასწავლის სამეცნიერო ნაშრომების შექმნას, სადაც ურთიერთ შეჯერებული იქნება კვლევის მატერიალური შედეგები და ძველ კულტურათა შესახებ არსებული ნარატიული წყაროების მონაცემები. არქეოლოგია მჭიდროდ თანამშრომლობს სხვა დისციპლინებთან, რომლებიც შეისწავლიან იმავე კულტურებს განსხვავებული წყაროების საშუალებით: ხელოვნება, ეთნოლოგია, ანთროპოლოგია, საბუნებისმეტყველო მეცნიერები და სხვა.

არქეოლოგიის სფერო ზუსტად და ადექვატურად ეხმიანება თანამედროვე სამყაროს აღნაგობას, სიახლეებს და განვითარების ტენდენციებს. შესაბამისად, არქეოლოგიის სფეროს შემადგენელი უმთავრესი მეთოდი -წარსულის ნაშთებზე დაყრდნობით ისტორიული რეალობების რეკონსტრუირება/ინტერპრეტირება და კაცობრიობის განვითარების თეორიული ანალიზის პროცესები ხშირად მეცნიერების სხვა სფეროებსაც უზრუნველყოფს ობიექტური მატერიალური საბუთებით ამა თუ იმ საზოგადოების იდენტობის შესაფასებლად.

არქეოლოგიური განათლების სფერო მნიშვნელოვან როლს ასრულებს გარესამყაროს დაცვასა და მასზე მიბმული ეკონომიკური საქმიანობის დაგეგმვა/განვითარებაში. ეროვნული კანონმდებლობით და საერთაშორისო კონვენციებით დაცული არქეოლოგიური ძეგლები, არტეფაქტები და მათი შემცველი ისტორიული ლანდშაფტები მრავალ ქვეყანაში წარმოადგენენ სახელმწიფოს შემოსავლების ძირითად წყაროს და ხელს უწყობენ ტურიზმის განვითარებას.

არქეოლოგთა დასაქმების შესაძლებლობები მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში განსხვავებულია, რადგანაც ყველა ქვეყანას გააჩნია საკუთარი მოთხოვნები, პროფესიული სტანდარტები და ორგანოები, რომლებიც აკონტროლებენ და განავითარებენ არქეოლოგიური მემკვიდრეობის მართვას. საქართველოს სინამდვილეში, არქეოლოგიის სფეროს შრომის ბაზარს მზარდი პოტენციალი გააჩნია, რაც მომავალ არქეოლოგებს უქმნის პრიორიტეტულ მოტივაციას ცოდნის მიღების პროცესში.

არქეოლოგის ბაკალავრის ან მაგისტრის ხარისხის მიღება, აღარ განიხილება როგორც ვიწრო პროფესიის არჩევანი. კარიერის პერსპექტივები გაცილებით ფართოა და მოიცავს დასაქმებას სხვადასხვა სექტორში: ზოგადი ან უმაღლესი განათლების საფეხურზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად; ქართული და საერთაშორისო არქეოლოგიური პროფილის სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციები; მუზეუმები; კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, პოპულარიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამები; კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე მომუშავე სახელმწიფო სტრუქტურები; ტურიზმი; მასმედია და სხვ. არქეოლოგის საქმიანობის მნიშვნელოვანი კომპონენტია ქვეყანაში მიმდინარე ფართომასშტაბიანი ინფრასტრუქტურული პროექტების, ახალშენებლობების და სამეურნეო სამუშაოებისას გამოვლენილი ძეგლების გადარჩენით სამუშაოებში მონაწილეობის მიღება და პროფესიონალური დახმარების აღმოჩენა.

არქეოლოგიის დარგში ფრიად მნიშვნელოვანია სწავლების ინტერკულტურული მხარე. არქეოლოგიური ძეგლებით უაღრესად მდიდარ ჩვენს ქვეყანაში მუშაობს მრავალი უცხოური არქეოლოგიური ექსპედიცია. სტუდენტებს ასევე ეძლევათ საშუალება ჩაერთონ გაცვლით სასწავლო პროგრამებში საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში და ასევე მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო არქეოლოგიურ გათხრებში ქვეყნის ფარგლებს გარეთ. შესაბამისად, აუცილებელია კვალიფიციური არქეოლოგიური კადრების მომზადება, რომლებიც წარმატებით შეძლებენ თანამშრომლობას უცხოელ პარტნიორებთან.

არქეოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია ძეგლებისა და არტეფაქტების შექმნისა და გამოყენების ქრონოლოგიური ჩარჩოები. ხოლო არქეოლოგიური არტეფაქტების თანამედროვე სტანდარტების მიხედვით კვლევისათვის (დახასიათება, კომპოზიცია, წარმოების პროცესების დაზუსტება), პროგრამის სპეციფიკა შესაძლებელია განაპირობებდეს მომიჯნავე, დამხმარე დისციპლინებისა და ციფრული ტექნოლოგიების საფუძვლების ცოდნას, რაც მნიშვნელოვანია წარსულის ვიზუალიზაციისა და ინტერპრეტაციისთვის. არქეოლოგიური მასალების სრულყოფილი შესწავლისთვის ასევე აუცილებელია ცალკეული ძეგლისა და არტეფაქტების ფიზიკური მდგომარეობის გრძელვადიანი შენარჩუნების პრინციპების საბაზისო ცოდნა.

საქართველოში არქეოლოგიის შესწავლისას პრაქტიკა სწავლების მნიშვნელოვანი ასპექტია რომელიც გულისხმობს: პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას, არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის, კულტურული ფენების ტექსტური და გრაფიკული ფიქსაციის, მოპოვებული მასალის კამერალური დამუშავების გზით.

საქართველოს სინამდვილეში, არქეოლოგიის სფეროს შრომის ბაზარს მზარდი პოტენციალი გააჩნია. ახლებური საკანონმდებლო რეალობები, რომელთა დახვეწაც მუდმივად მიმდინარეობს, არქეოლოგიის ორივე საფეხურის კურსდამთავრებულთათვის არა მხოლოდ მნიშვნელოვნად ზრდის დასაქმების შესაძლებლობებს, არამედ კარნახობს მომავალ არქეოლოგებს, შეიმუშაონ პრიორიტეტული მოტივაცია ცოდნის მიღების პროცესში. დღესდღეობით, პროფესიონალურ სექტორში პრიორიტეტად მიჩნეულია არქეოლოგიური სამუშაოები, რომლებიც ორიენტირებულია საზოგადოებრივი სარგებლობის დემონსტრირებაზე, რაც შეუძლებელია სახელმწიფო სტრუქტურებთან თუ საზოგადოებრივ გაერთიანებებთან არქეოლოგთა მჭიდრო კავშირი-ურთიერთობების გარეშე.

III. სწავლის შედეგები

არქეოლოგიის დარგობრივი მახასიათებელი აღწერს იმ მინიმალურ კომპეტენციებს, რომლებიც კურსდამთავრებულს არქეოლოგიის საბაკალავრო/სამაგისტრო საფეხურის დასრულებისას ექნება.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები უფლებამოსილნი არიან პროგრამების სწავლის შედეგები სამ კატეგორიად (ცოდნა-გაცნობიერება, უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა) დაყოფის გარეშე ჩამოაყალიბონ.

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებელი სწავლის შედეგების აღწერისას ეყრდნობა ბლუმის ტაქსონომიას, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები უფლებამოსილნი არიან სწავლის შედეგების აღსაწერად სხვა ტაქსონომიები გამოიყენონ.

ბაკალავრიატის საფეხურის სწავლის შედეგები

ცოდნა-გაცნობიერება

კურსდამთავრებული:

- **აცნობიერებს** არქეოლოგიის მნიშვნელობას კაცობრიობის წარსულის შესწავლისა და ისტორიული პროცესების გააზრებისთვის, **განიხილავს** მას სხვადასხვა (ისტორიული, სოციალური, პოლიტიკური, კულტურული, ბიოლოგიური, ქრონოლოგიური) პერსპექტივიდან;
- **ავლენს ფართო ცოდნას** არქეოლოგიის დარგის განვითარების ძირითადი ეტაპების, არქეოლოგიის დარგობრივი ტერმინოლოგიის, თეორიების, მიდგომების, მეთოდების, არქეოლოგიური ძეგლებისა და არტეფაქტების პერიოდიზაციისა და დათარიღების პრინციპების შესახებ.

უნარი

- არქეოლოგიურ მონაცემების მოპოვებისას **იყენებს** დარგისთვის სპეციფიურ უნარებს (საკვლევი ობიექტის მოძიების, ჩაწერის/ჩახატვის, საველე მუშაობის, საველე ჩანაწერების გაკეთების, გათხრების წარმოების, მოპოვებული მასალების გაზომვის, ანალიზის, ზოგიერთი არქეომეტრიული მეთოდების გამოყენების, ინტერპრეტირებისა და დაარქივების) წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;

- **განიხილავს** არქეოლოგიური აღმოჩენების ან/და არტეფაქტების შესახებ ტრადიციულ მოსაზრებებს, **ახდენს** სხვადასხვა არქეოლოგიური მასალის ფორმისა და შინაარსის/მონაცემების **ინტერპრეტაციასა და ანალიზს**;
- საბიბლიოთეკო რესურსებისა და ელექტრონული სამეცნიერო ბაზების საშუალებით **მოიძიებს** რელევანტურ აკადემიურ წყაროებს, **აგროვებს** მონაცემებს და **ანალიზებს** მათ, ლოგიკური და მტკიცებულებებზე დაფუძნებული დასკვნების მისაღებად;
- სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციისას **ეფექტიანად იყენებს** ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

- ინტერდისციპლინურ გარემოში მუშაობისას **ეფუძნება** გუნდურობის, დროის ეფექტიანი მართვის პრინციპებს;
- არქეოლოგიური ინფორმაციის/მასალის/მონაცემების აღწერისას და ინტერპრეტაციისას **იცავს** მიუკერძოებლობის, ობიექტურობისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს.
- **აცნობიერებს** ცალკეული არქეოლოგიური კულტურებისა და ცივილიზაციების შესახებ არსებულ განსხვავებულ ღირებულებებს, იდეებსა და შეხედულებებს - როგორც მსოფლიო ფასეულობათა ნაწილს;

მაგისტრატურის საფეხურის სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებული:

- **ახდენს** არქეოლოგიის დარგის ღრმა და სისტემური ცოდნის **დემონსტრირებას**, მათ შორის თანამედროვე არქეოლოგიური კვლევების დროს გამოყენებული ძირითადი მეთოდებისა და კონცეფციების შესახებ;
- **აცნობიერებს** - არქეოლოგიის მნიშვნელობას, ისტორიული წარსულის ამსახველი მასალების მოძიების/გამოვლენის, გათხრის, კვლევის და მიღებული შედეგების ინტერპრეტაციის საქმეში;
- მატერიალური კულტურის ძეგლების მეშვეობით კაცობრიობის ისტორიის სხვადასხვა ასპექტის შესწავლისას, **განსაზღვრავს** არქეოლოგიური მეცნიერების ძირითად ცნებებს და პრინციპებს; **გამოკვეთს** არქეოლოგიის თანამედროვე გამოწვევებს და **დასახავს** მათი გადაჭრის გზებს;
- **აღწერს** - ქართული და მსოფლიო არქეოლოგიის მიღწევებს და განვითარების ტენდენციებს, **ახდენს** მათ **ინტერპრეტირებას** სოციალური, კულტურული, ისტორიული და პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით.

უნარი

კურსდამთავრებული:

- **იყენებს** დარგისთვის სპეციფიურ უნარებს არქეოლოგიური კვლევის თანამედროვე მეთოდებისა და სტანდარტების შესაბამისად (არქეოლოგიური ძეგლის დაზვერვა, გათხრა, კულტურული ფენების

გამოვლენა, არქეოლოგიური ძეგლებისა და არტეფაქტების აღმოჩენა, აღწერა, გაზომვა, სინჯების შეგროვება, პასპორტიზაცია, დახარისხება, ფოტო და გრაფიკული ფიქსაცია, ამა თუ იმ გეოდეზიური ხელსაწყოთა ან გეო-საინფორმაციო სისტემის გამოყენება, შეფუთვა, დაბინავება, ძეგლის არქივის შექმნა.);

- საბიბლიოთეკო რესურსებისა და სამეცნიერო ბაზების გამოყენებით **მოიძიებს** სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურას, **იყენებს** მათ არქეოლოგიური მასალის ანალიზისთვის, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით **ქმნის** კვლევით ნაშრომს/პროექტს;
- დამოუკიდებლად ან ხელმძღვანელის დახმარებით **ახდენს** საკვლევ პრობლემის **იდენტიფიცირებას**, ნაშრომზე მუშაობისას **იყენებს** დარგში აპრობირებულ კვლევის მეთოდოლოგიას, კვლევის შედეგებს **წარუდგენს** აკადემიურ საზოგადოებას წერილობითი და ზეპირი ფორმით, მშობლიურ და/ან უცხო ენაზე.
- **ახდენს** მოპოვებული არქეოლოგიური მასალის ტიპოლოგიურ და ქრონოლოგიურ კლასიფიკაციას, **განსაზღვრავს** მათკულტურულ კუთვნილებას და **აკავშირებს** სხვა არქეოლოგიურ ანალოგებთან.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

კურსდამთავრებული:

- **ხელმძღვანელობს** - არქეოლოგიაში დამკვიდრებულ პროფესიული ეთიკის სტანდარტებით, სამართლებრივი რეგულაციებით, აკადემიური კეთილსინდისიერების, პროფესიული პატიოსნებისა და ობიექტურობის პრინციპებით;
- **მონაწილეობს** - პროფესიული ღირებულებების განვითარება-დამკვიდრებაში და წვლილი შეაქვს დარგის განვითარებაში;
- **ადაპტირდება** მულტიდისციპლინურ გარემოში და **ავლენს** თანამშრომლობის უნარს, სწავლისა და მუშაობისას **ახდენს** თვითორგანიზების, დროის ეფექტიანი მართვის, ინიციატივისა და პასუხისმგებლიანი დამოკიდებულების **დემონსტრირებას**.

IV. სწავლება, სწავლა და შეფასება

არქეოლოგიის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიერ განსაზღვრული მიზნებისა და სწავლის შედეგების მისაღწევად, ასევე, სწავლის შედეგების შეფასების უზრუნველყოფისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი და აუცილებელია, შერჩეული იქნეს პროგრამის მიზნების, წავლის შედეგების მიღწევისა და მათი შეფასების რელევანტური მეთოდები.

სწავლება-სწავლის მეთოდები თანხვედრაში უნდა იყოს არქეოლოგიის საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამის კომპონენტებთან და ხელს უნდა უწყობდეს სტუდენტს:

- სასწავლო პროცესში აქტიურ ჩართვასა და ახალი სასწავლო/სამეცნიერო ინფორმაციის მოძიებაში, დამუშავებასა და შესწავლაში;
- დასკვნების დამოუკიდებლად გამოტანასა და ლოგიკური აზროვნების ჩამოყალიბებაში;
- სპეციალობაში ცოდნის გაღრმავებასა და შესაბამისი უნარებისა და ღირებულებების გამომუშავებაში;
- თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში.

სწავლა–სწავლების მეთოდების შერჩევასა და გათვალისწინებული უნდა იქნეს სწავლების საფეხურიც. არქეოლოგიის საბაკალავრო საფეხურიდან არქეოლოგიის სამაგისტრო საფეხურზე გადასვლასთან ერთად, უფრო ინტენსიურად უნდა იქნეს გამოყენებული კვლევაზე დაფუძნებული სწავლების მიდგომები. აღნიშნული ხელს შეუწყობს სტუდენტს გამოიმუშაოს კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვისა და განხორციელების უნარი.

სტუდენტის შეფასება აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს სტუდენტის მიღწევის დონეს სასწავლო კურსით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებით. შეფასების სისტემა ხელს უნდა უწყობდეს როგორც კურიკულუმით, ისე თითოეული სასწავლო კურსით განსაზღვრული შედეგის მიღწევის გაზომვას.

სტუდენტის შეფასება უნდა ეფუძნებოდეს ოთხ ძირითად პრინციპს:

- ობიექტურობა;
- სანდოობა;
- ვალიდურობა;
- გამჭვირვალობა.

არქეოლოგიის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის გეგმა/სილაბუსი/მოდული შეიძლება ითვალისწინებდეს ქვემოთ ჩამოთვლილ მეთოდებს და სტუდენტთა შეფასების სისტემას, რომელსაც აქვს სარეკომენდაციო ხასიათი. ასევე შეიძლება გამოყენებული იქნეს სხვა მეთოდებიც. სწავლება–სწავლისა და სტუდენტთა შეფასების მეთოდების შერჩევასა და მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნეს წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული სწავლის შედეგები.

4.1 სწავლება–სწავლის მეთოდები

არქეოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამები სწავლების–სწავლისა და შეფასებისას უნდა ეფუძნებოდეს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს და სწავლება–სწავლის მეთოდები, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, უნდა უზრუნველყოფდეს პროგრამის მიზნით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

არქეოლოგიის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის განსახორციელებლად შესაძლებელია გამოიყენებოდეს სწავლება–სწავლის შემდეგი მეთოდები:

- ლექცია;
- პრაქტიკული მუშაობა (სემინარი, ლაბორატორიული მუშაობა, სასწავლო/საველე პრაქტიკა);
- დამოუკიდებელი მუშაობა;
- ჯგუფური მუშაობა;
- ელექტრონული რესურსებით სწავლება;
- სხვა.

4.2 სწავლება–სწავლის მეთოდების შესაბამისი აქტივობები

წინამდებარე სტანდარტის მიხედვით რეკომენდირებულია სწავლება–სწავლის პროცესში გამოყენებული იქნეს შემდეგი აქტივობები:

- ინდუქცია/დედუქცია;
- ანალიზი/სინთეზი;
- დისკუსია/დებატები;
- ევრისტიკული მეთოდი;
- ჯგუფური მუშაობა;
- პრაქტიკული მეთოდები;
- წიგნზე მუშაობა;
- წერიტი მუშაობა;
- ვერბალური მეთოდი;
- დემონსტრირება;
- დამოუკიდებლად სწავლა;
- ჯგუფური მუშაობა;
- გონებრივი იერიში;
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL);
- პროექტზე დაფუძნებული სწავლება;
- წერილობითი ნაშრომის მომზადება (ესეს, რეფერატის, პროექტის, მოხსენების მომზადება);
- და სხვა.

4.3 სტუდენტის შეფასება

შეფასების კომპონენტები და მეთოდები

არქეოლოგიის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის გეგმით/სილაბუსით/მოდულით გათვალისწინებული შეფასების ფორმები (აქტივობა, შუალედური და დასკვნითი შეფასება) შესაძლებელია მოიცავდეს შეფასების კომპონენტებს, რომლებიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის, უნარის და კომპეტენციის შეფასების შემდეგ საშუალებებს:

- ზეპირი გამოცდა;
- წერიტი გამოცდა;
- ზეპირი გამოკითხვა;
- წერიტი გამოკითხვა;
- საშინაო დავალება;
- პრეზენტაცია;
- წერილობითი ნაშრომი;
- თეორიული სამუშაო;
- პრაქტიკული სამუშაო;
- პრაქტიკის ანგარიში;
- სხვა.

არქეოლოგიის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის გეგმით/სილაბუსით/მოდულით გათვალისწინებული შეფასების კომპონენტები შესაძლებელია აერთიანებდეს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს:

- ტესტი;
- ქვიზი;
- ღია კითხვა;

- ესე;
- პრეზენტაცია;
- დემონსტრირება;
- მოხსენება;
- სასემინარო მოხსენება;
- რეფერატი (წერიტი ნაშრომი);
- კითხვა-პასუხი;
- პრაქტიკული დავალების შესრულება;
- თეორიული დავალების შესრულება;
- ჯგუფური დავალების შესრულება;
- დისკუსია-დებატებში მონაწილეობა;
- არქეოლოგიური ძეგლის ანალიზი;
- საველე პრაქტიკის ანგარიში;
- სხვა.

შეფასების მეთოდები უნდა გაიზომოს ადეკვატური შეფასების კრიტერიუმებით, რომლითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

4.4. სტუდენტის პრაქტიკული უნარების განვითარება

პრაქტიკული (საველე არქეოლოგიური პრაქტიკის) კომპონენტი არქეოლოგიის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აუცილებელი ნაწილია. მისი მიზანია შემდგომი საქმიანობისათვის აუცილებელი პრაქტიკული უნარების განვითარება.

პრაქტიკული კომპონენტის კონკრეტული მოდელის, მისი შინაარსისა და ფორმის შერჩევა წარმოებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, არსებული რესურსების, ინფრასტრუქტურის, საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსის, ხედვისა და კონცეფციის გათვალისწინებით.

არქეოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამებში საერთაშორისო გამოცდილების თანახმად, პრაქტიკული კომპონენტი შეიძლება წარმოდგენილი იყოს ზოგიერთი სპეციალური, ან არქეოლოგიის დამხმარე დისციპლინების თეორიულ კურსებში ინტეგრირებული პრაქტიკული ელემენტებისა და დამოუკიდებელი პრაქტიკული კურსის (საველე არქეოლოგიური პრაქტიკა) თანმიმდევრული განხორციელების სახით.

პრაქტიკული კომპონენტის აღნიშნული მოდელი გულისხმობს სტუდენტის მიერ პრაქტიკული აქტივობების განხორციელებას, რომლის მიზანია თეორიულ კურსებში მიღებული ცოდნის და გამოცდილების შეჯამება და მათი პრაქტიკულად განხორციელების უნარების დაუფლება. პრაქტიკის ფარგლებში არქეოლოგიის საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი უმაღლესი განათლების საფეხურის შესაბამისად მონაწილეობს პრაქტიკულ აქტივობებში პრაქტიკის ხელმძღვანელთან შეთანხმებით და მისი მეთვალყურეობით.

საველე არქეოლოგიური პრაქტიკა შეიძლება განხორციელდეს უშუალოდ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაზაზე (თუ მას აქვს მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიცია და შესაბამისი ბაზა). ასევე შესაძლებელია პრაქტიკის განსახორციელებლად გამოყენებული იქნეს პარტნიორი ორგანიზაციები (კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო; საქართველოს ეროვნული

მუზეუმი; საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრი; შესაბამისი პროფილის მუზეუმები, სადაც არსებობს არქეოლოგიური ექსპედიციები; პარტნიორი უნივერსიტეტები; საერთაშორისო არქეოლოგიური ექსპედიციები). მათთან თანამშრომლობის პირობები უნდა განისაზღვროს სათანადო ურთიერთთანამშრომლობის დოკუმენტით (მემორანდუმი, ხელშეკრულება).

4.5. სამეცნიერო/კვლევითი უნარების განვითარება

არქეოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების მეთოდოლოგია ორიენტირებული უნდა იყოს კვლევაზე, რომელსაც წინ უნდა უძღოდეს კვლევითი კომპეტენციის განმავითარებელი კურსები. კვლევითი კომპონენტი გამჭოლად უნდა გასდევდეს პროგრამას. მისი თანმიმდევრული განხორციელებით უნდა მიიღწეოდეს სტუდენტებში კვლევითი და სამეცნიერო უნარების განვითარება, რაც პროგრამის დასკვნით ეტაპზე საკვალიფიკაციო ნაშრომით დადასტურდება.

V. დამატებითი ინფორმაცია

5.1. აკადემიური პერსონალი

არქეოლოგიის საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამის განხორციელება შესაძლებელია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, შესაბამისი რაოდენობისა და კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალის და მოწვეული სპეციალისტების ჩართულობით, რომლებიც სათანადო გამოცდილებითა და კომპეტენციებით უზრუნველყოფენ საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამების სტაბილურ, ეფექტიან ფუნქციონირებას და განვითარებას, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

5.2 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არქეოლოგიის საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით უნდა არსებობდეს აუცილებელი ინვენტარით და ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი სასწავლო ფართი, რაც აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს და სტუდენტებს შეუქმნის სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელ პირობებს.

საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ სტუდენტებისთვის უნდა უზრუნველყოს:

- საინფორმაციო-ტექნოლოგიური და სხვა სახის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი კაბინეტები, აუდიტორიები და ლაბორატორიები;
- მუდმივად განახლებად წიგნად ფონდზე, საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე და სხვა შესაბამის სასწავლო მასალებზე წვდომა;
- სტუდენტებისათვის პრაქტიკის კომპონენტის განხორციელება საკუთარი არქეოლოგიური ექსპედიციის ბაზაზე ან პარტნიორ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში, მუზეუმებსა და სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. უსდ თავად განსაზღვრავს პრაქტიკის ფორმას და

მისი განხორციელების ადგილს არსებული რესურსების, ინფრასტრუქტურის და საგანმანათლებლო პროგრამების მიზნის, შინაარსისა და შედეგების მიღწევის გზების გათვალისწინებით.

5.3. არქეოლოგიის პროფესიის მარეგულირებელი კანონმდებლობა და საერთაშორისო კონვენციები:

- საქართველოს „კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“, 2007;
- „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“, 2017;
- კანონი „კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ“, 2001;
- კანონი „მუზეუმების შესახებ“, 2001;
- კანონი „კულტურის შესახებ“, 1997;
- კანონი „მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ (პროექტი მომზადდა 2014 წელს);
- კონვენცია „ევროპის არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“, ლა ვალეტა, 1992.
- კონვენცია „მსოფლიოს კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ (მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენცია), პარიზი, 1972.
- კონვენცია „ევროპის არქიტექტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“, გრანადა, 1982.
- ევროპის კულტურული კონვენცია, პარიზი, 1954.

5.4 მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:

- უმაღლესი განათლების I საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის შემდგომ სტუდენტს ენიჭება არქეოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი (Bachelor of Archaeology), ან აკადემიური ხარისხი შემდეგი ფორმულირებით: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი არქეოლოგიაში (Bachelor of Arts in Archaeology);
- უმაღლესი განათლების II საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის შემდგომ სტუდენტს ენიჭება არქეოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი (Master of Archaeology), ან აკადემიური ხარისხი შემდეგი ფორმულირებით: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი არქეოლოგიაში (Master of Arts in Archaeology).

VI. დარგობრივი მახასიათებლის შემმუშავებელი ჯგუფის წევრები

№	სახელი, გვარი	ორგანიზაცია/დაწესებულება	თანამდებობა
1	მერაბ ჭუმბურიძე	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ისტორიის დოქტორი, ისტორია-არქეოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი
2	დავით ნასყიდაშვილი	სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის არქეოლოგიის სასწავლო სამეცნიერო ინსტიტუტის მოწვეული ლექტორი, პროფესორის ასისტენტი

3	ჯონი აფაქიძე	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ისტორიის დოქტორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი
4	ემზარ კახიძე	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ისტორიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი; ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის მმართველი
5	დავით ბერიკაშვილი	შპს - საქართველოს უნივერსიტეტი	ისტორიის დოქტორი, ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის ასოცირებული პროფესორი, არქეოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი, საქართველოს უნივერსიტეტის „არქეოლოგიის საერთაშორისო ცენტრის“ დირექტორი
6	ნოდარ ბახტაძე	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ისტორიის დოქტორი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის პროფესორი არქეოლოგიის მიმართულებით
7	კონსტანტინე ფიცხელაური	სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო	არქეოლოგიის სამსახურის უფროსი